

**სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“**

ბათუმი, მემედ აბაშიძის #41, ს/კ 245675880

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 02-03/30

ბათუმი

01 დეკემბერი 2015 წელი

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსისა“ და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ დირექტორის 2015 წლის 01 ოქტომბრის #02-03/18 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში მაუწყებლის მონიტორის ომარ ბერიძისა და შემეცნებითი პროგრამების მიმართულების პროდიუსერის ლალი ბერძენიშვილის 2015 წლის 20 აგვისტოს #02-19/775 და #02-19/776 მოხსენებების განხილვის მიზნით შეიქმნას თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის კომისია შემდეგი შემადგენლობით:
  - ა) გენო გელაძე - არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“;
  - ბ) მალხაზ ჭკადუა - არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
  - გ) ხათუნა ბაგრატიონი - დამოუკიდებელი წევრი.
2. საჩივრების განხილველ კომისიას ეთხოვოს კანონმდებლობითა და ზემოთაღნიშნული დებულებით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს თავისი უფლებამოსილება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ბათუმი, ზუბალაშვილის #30) მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

სოსო სტურუა

